

ՄՃՄԱԾԵՔՆՈ

ՀԱՅԿԵՆ
ՔՐԻՍՏՈՍՅԱՆ

Լ-94



№ 7

1929

ՀԱՅԿԵՆ

ԶԻՆՈՒԹ

თამაზობამ მოაგონა



გუშინ, როცა ნამკვის ხესთან
თამაშობდა გიგა მარტო,
დიდი შრომით გააკეთა
ნაწასწინა ფიცრის ავტო.

ავტო და ქვა მოსიდა,
მოკვირებარა შრომით ჩვენაც,
და ხის ძირში ერთი ციდა
„ქალაქიც“ კი ააშენა.

გამოაბა ავტოს თოკი,
ნაწილები გაუსწორა,
და „ქალაქის“ შუაგულში
მიავტოვა, მოავტოვა.

როცა დადგა მზე თავარა,
როს ჩამოწვა სსივი ცხარე,
გიგამ „ავტოთ“ გაატარა
მურიკელა „ქალაქვარეთ“.

და... ჩაფიქრდა გიგა მასთან,
ჩაფიქრდა და თანაც სარობს:
— ნეტავ ვინმემ იგიც მართლა
ქალაქვარეთ გაატაროს.

მოსწონს გიგას, მოსწონს ასე,
აღტაცებას ვულარ მალაფს,
და კიდევაც მან ეს აზრი
თვის ტოლებში გაიტანა.



მწიფი

ზოგ-ზოგებმა სიტყვით მისცეს
 კვამები და შესწორება,
 და ერთად კი გადასწავიტეს
 ქალაქკარეთ შესვენება.

ზოგიც გაჭევა აზრს და ფიქრებს...
 მეგობრებში ახსოვს ბევრსა,
 რომ უხდება ქალაქს იქით
 შესვენება ზატარებსა.

აი უკვე დადგა კვირა,
 აიშალა ქუჩის მტკვარი,
 და ქალაქის განაპირად
 ზატარების გუნდი მდერის.

ველსე განდა რბენა ჯიბრით,
 ჭიდაობენ მეგობრულად,
 ზოგსაც კიდევ გუნდის შიგნით
 მოაგონდა „ფისკულტურა“.

ჭაერი და სუფთა მდელო
 ზაფხულობით არკებს მასსა,
 და უმაღლის გიგას ეკვლა
 კეთილ აზრის დასახება.

აქ ისურვეს სწავლა უკეთ,
 რომ შრომაც არ დაიზარონ,
 და უოველი კვირა-უქმე
 ქალაქკარეთ გაატარონ.

ირაკლი აბაშიძე.

ა მ ს ა ნ ა გ ე ზ ი

ღისიკოს დედა არ ას-
სოვს. მამამ და ბებიამ დი-
დის წვალეობით გამოხარ-
დეს თავისი ერთადერთი
გოგონა. დილით ადრე,
როგორც ქარსნის საუვირის
სმას გაიგონებდა ბავში,
თვალეებს გააჭკვეტდა, მამას
დაეკითხებოდა:



— დღეს მიდისხარ სამუშაოდ?

— ჰო, შვილო, დღეს საქმის დღეა, ქარსანამი შელიან!

ღისიკოც დინჯად მოისმენდა და, სანამ მამა იცვამდა, გაჩუმე-
ბული იყო; იცოდა, ახლა მასთან სამასლაათოდ აღარ ეცალა და
თვითონაც ესმარებოდა საუსმის მომსადგებაში. უველაფერს გაფაცი-
ცებით თვალს ადევნებდა, რომ მამას შინ არაფერი დავიწყებოდა.

— ირინე, გაბარებ ჩემს გოგონას! — ჩვეულებრივად გადას-
მასებდა სანდრო ბებიას და აჩქარებით გაივლიდა ეზოს. მალე გა-
სუნებული ჰალტო და ძველი ქუდი სახლის კედელს მიეფარებო-
და. ღისიკომ იცოდა, რომ საღამომდე მამას ვეღარ ნახავდა და
გულნატკენი ბრუნდებოდა

— რა ვქნათ, ირინე? ვიბრძვით, ვთხოვლობთ რვა საათის
სამუშაო დღეს, მაგრამ ამაოდ. ჯიბრზე უარეს დღეს გვაუწებენ,
დათხოვნას გვემუქრებიან. სომ იცი, კაპიტალისტების სელში ჩა-
ვარდნა რა ძნელია, სისხლს გვწოვენ, ჩვენ იფლით სუქდებიან! —

გამწარებით ამბობდა მოქანცული სანდრო, როდესაც შინ დაბრუნებული კალთაში ისვამდა ღიზიკოს. — ჩემი გოგონა მანც უნდა მოესწროს უკეთეს დროს, მუშურ-გლეხურ სასელმწიფოს, — სასეკაბრწეინებული უმატებდა და ხუჭუჭა თმაზე სელს უსვამდა.

ექვსი წლის ღიზიკოს ესმოდა მამის საიმედო სიტყვები და ვახარებული ეკროდა გულში.

— ჩვენ კი, ჩემო ირინე, უნდა ვიბრძოლოთ გამარჯვებამდე; უკან დასევა არ შეიძლება, რომ შეიძლება მანც მიიღოს თავისუფლება!

ღიზიკო უკვე რვა წლის შესრულდა. სანდრომ გადაწყვიტა სკოლაში მიებარებინა თავისი ნიჭიერი გოგონა. ბებია ირინემ ასწავლა ანბანი. ღიზიკოც დიდის ხალისით და გულდადებით უსმენდა მოხუცს. გაფაციცებით შესცქეროდა ზირში, არაფერი გამოქვაროსო. მის სინარულს სასეღარი არ ჰქონდა, როდესაც მამამ ზირველად მოუტანა ანბანი. მაშინვე მიურბენინა ირინეს და, თუძვა მოხუცს უთო ეჩარებოდა, მანც არ მოასვენა, სანამ ეველა ასო არ გამოჰკითხა, მერე კუნტრუშით მთელი ესო შემოირბინა, თან სინარულთი გაიმასოდა „კითხვა ვისწავლე, კითხვა ვისწავლე“.

ღიზიკო სასწავლებელში მიიღეს. ირინემ დაკარებული ახლადგუთოვებული კაბით წაიფანა სკოლაში. ესოში ჰატარა, მოართული გოგონები შემოესვიენ და დიდის ცნობისმოკვარებით ათვალეირებდენ მის ძველ ტანისამოსს.

— ამის მამა ქარხნის უბნალო მუშაა, ბებია კი მრეცხავია, ჩვენთან სმირად დიდის, — წასწორულა ერთმა მოართულმა ბავშმს დანარჩენებს, და ძალე ღიზიკო სულ მარტო დარჩა სასწავლებლის ფართე ესოში.

ეწეინა ჰატარას ასეთი ციფი მიღება და ზირველი სინარული თითქოს ჩაუქნა.

სასწავლო ოთახში ღიზიკო ერთ-ერთ უკანა სკამზე მოათავსეს. კვირდით მოუსვენს ზატარა გოგო, რომელსაც ძლე დაუძეობრდა და სწავლაშიაც დიდის სიხარულით შეელოდა.

— ძამანეში ვაჭარია, — ეუბნებოდა სოფო ამხანაგს, — სახლში მანაც უბედური ვარ, არავის ვუყვარვარ, ვეკლა ჩემს უფროს ძმას შაქროს ანებივრებს, ის კი სშირად მესუბება და მცემს.

ღიზიკოს ძმას სანდროს თითქმის აღარც კი ეცალა თავისი ზატარა გოგონასთვის, სულ ჩაფიქრებული დადიოდა, შინაც გვიან ბრუნდებოდა. ზოგჯერ ღამესაც სვავან ათენებდა. იშუიათად, როდესაც ღიზიკო ძმას განკებ ფესებში შეეფეთებოდა, თავს აუწევდა, აღერსით თვალეში ჩააცქერდებოდა და ჭკითხავდა:

— აბა, ძიაბბე, დღეს „სუთიანი“ რაში მიიდე?

ღიზიკოც განარებული უამბობდა, როგორ ჭკითხა მასწავლებელმა გაკვეთილი, როგორ შეაქო და „სუთიანი“ დაუწერა.

სანდროს უკანასკნელ დღეებში სშირად მოჭეავდა მინ ამხანაგები — თავისივე ქარხნის მუშები.

ისინი იკეტებოდენ ოთახში, ანთებდენ



ჭნაქს და მთელი საათების განმავლობაში გაცხარებით კამათობდნენ, რაღაცას ამტკიცებდნენ, აღფრთოვანებით ბახსობდნენ.

ლიზიკოს ესმოდა, როგორ სშირად ასახელებდნენ ლენინს და ამბობდნენ, რომ მხოლოდ კომუნისტები დაცავენ მუშების ინტერესებს, მხოლოდ პროლეტარიატს გამანჯვებაძე მიიყვანენ. სშირად ლიზიკოს ჩასძინებია ასეთი სიტუების მოსძინაში, სისძარძიაც უნახავს თავისი მამა ამხანაგებით, წითელი დროით ხელში.

მიუხედავად მეტად გაჭირვებული ცხოვრებისა, ლიზიკო სასწავლებელში ჰირველი მოწაფე იყო, ანა ჰკარგავდა თავის ბუნებრივ სიმკვირცხლეს, დარბოდა, სტუნაობდა, წუხლში ტოპავდა და საერთოდ ბიჭებსაც კი ანაფერში ჩამოწნებოდა. ჰირველად კოკოები მას ძალიან დასცინოდნენ, მაგრამ როდესაც ხედავდნენ მის უკვლამწივ სიუჩაღეს, უნებლიედ შურით შესცქეროდნენ.

მეტადრე სოფოს უფროს ძმას შაქროს არ უუვარდა ლიზიკო და ბრახი მოსდიოდა, როდესაც ლიზიკო მას რბენაში სჯობნიდა.

შაქრო და სოფო მდიდარი ვაჭრის შვილები იყვნენ. მშვენიერ თეთრ სასლში ცხოვრობდნენ, საიდანაც თითქმის უოკვლდე საკრავისა და ლხინის ხმა ისმოდა. სტუმრებით სავსე სასლში ჰირველი ადგილი შაქროს ეჭირა, რადგან სოფო არავის ასხოვდა. შაქროსაც, თუცა ის ვერ ათი წლისაც არ იყო, თავისი თავი მამის შემკვიდრედ მიანდა და მედიდურად იუფრებოდა.

ბებია ირინე მთელი დღე საქმეში იყო გართული, ბავძისთვის არა სცალოდა. ამიტომაც ლიზიკო სშირად კარბოდა სათამაშოდ მასლობელ ბაღში. იქ გასართობი ბევრი რამ ეტკულებოდა: სის კორაკზე არბენა და იქიდან მიწის ჩამოცურება, რგოლებზე ვანჯიშობა, ბურთობა და ვინ მოსთვლის კიდევ რა.

სოფო და შაქროც სშირად დადიოდნენ ბაღში თავისი მოხუცი აღმწრდელით, რომელიც იქვე იძინებდა მიწის სკამზე.

წინა დამეს ცუდად ეძინა ლიზიკოს, რადგან მამას ისევე მოეუვანა ამხანაგები და თითქმის მთელი დამე კამათში გაათენეს. დიდხანს ეღვიბა ლიზიკოს, დიდხანს ესმოდა კარს უკან მამის აღ-

ფრთოვანებული სმა, მაგრამ ბოლოს იქვე მიეძინა ირინეს ლოგინსე.

დილით სკოლაში დაიკვირნა და ზირველად მიიღო მასწავლებლისაგან შენიშვნა. მამა მთელი დღე არ დაბრუნებულა, და მოწვენილი ლისიკოც ბადისკენ გაეშურა.



იქ ბავშვები უკვე საკმაოდ შეკრებილიყვნენ, თამაში გაეჩაღებინათ, და ლისიკოსაც მალე გადაავიწყლდა მთელი თავისი გაჭირვება.

ამ დროს სვიენის ბოლოში გამოჩნდნენ შაქრო და სოფო. მოსუცი აღმწრდელი მალე ჩამორჩა მათ.

შაქროს ლოყები ასწითლებოდა, ქაობრი ეალესე უდგა, სელში წკვლა ეჭირა, რომელსაც გავაფრებული აქეთ-იქით იქნევდა. მიუახლოვდა თუ არა ბავშვებს, სმამალა დაიწყო:

— დღეს მამამ გასეთში წაიკითხა, რომ კომუნისტები ისევ იმარჯვებენ, გაიძახიან, კერძო საკუთრება არ უნდა იყოს, მთავრობა მუშებისაგან უნდა შესდგესო. მამას ჭირვით ეჯავრებიან ბოლშევიკები. მეც მეჯავრებიან... — დაუმატა შაქრომ და წკვლა მაგრად მოიქნია. — ნეტა შემსვდეს ასლა ვინმე კომუნისტი. მე იმას...

ბავშვები გაკვირვებით შესცქეროდნენ განრისხებულ შაქროს. უცებ ლისიკომ შესძახა:

— მე მიუვარს ბოლშევიკები, მე თვითონ კომუნისტი ვარ!

შაქროს თვალები აუნთო, წკვლა სელიდან გაბგდო, მოღვრებული მუშტებით საცემლად მივარდა, მაგრამ ლისიკო სწრაფად განსე გაუსსლტა. შაქრომ თავი ველარ შეიმავრა და ეირამალა გადავარდა მტვერში.

სასაფხულო თეთრი ტანისამოსი მთლად ამოეკანკლა, ცხვირიდან სისსლი სდიოდა.

ლინიკოს აღარ მოუცდია მის ფეხზე ადგომამდე, სასქაროდ მინისკენ გაექანა. აივანზე მამას შეეფოთა, რომელიც ის იყო დაბრუნებულიყო. ბავშმა ვეველაფერი დაწვრილებით უამბო.

სანდროს გაეცინა, თავზე ხელი გადაუსვა და ალერსით უთხრა: — დამშვიდდი, ჩემო გოგონავ, საქრო მდიდარი ვაჭრის შვილია და, რასაკვირველია, თავის მამასთან ერთად არ მოეწონება ჩვენი გამარჯვება. ვერაფერს გააწეობენ, შომაველი ხეენია.

გავიდა თხუთმეტი წელიწადი. ცხელი ივლისის მზე სწავდა ტფილისის მტვრიან ქვაფენილებს, ეოველი ადამიანი ცდილობდა თავი დაედგინა შის უხვი სსივებისაგან. სამსართულიანი სახლის ერთ-ერთ უბრალოდ მართულ ოთახში მაგიდასთან იჯდა წითელთავსაკრავიანი ახალგაზრდა ქალი, რაღაცას გულმოდგინედ სწერდა, თან მალი-მალ საათს დასცქეროდა.

მოისმა კარის ხელი კაკუნი.

— მობრძანდით!

— ამხანაგი მარკოზიშვილი თქვენა ბრძანდებით?

— დიად, რა გნებავთ?

ქალმა თავი ასწია და გაცემით დააცქერდა უცნობს. მის წინ ამართულიყო მისიგან გამავეებული ახალგაზრდა ბეელ, გასუნებულ ტანისამოსში, უშნო ჩაღის ქუდით ხელში.

— ვერა მცნობთ? მე საქრო ამირანიძე განლაგართ, თქვენი ბავშობის ამხანაგი.

ქალი დაფიქრდა: საქრო... ამირანიძე... უცებ თავი ვეღარ შეიმავრა, სიცხლი წასკდა: მოაგონდა მტვერში გამსლანთული მუშტებმოდერებული საქრო.

— მიცანით?.. ძლივს გავიგე თქვენი მისამართი. რომ ცვოდეთ, რამდენი რამ გადამხდა თავს მას შემდეგ, სად არ ვეოფილვარ, რა არ მინახავს! როცა დრო გექნებათ, გაამბობთ. ეს ექვსი თვეა დავბრუნდი საქართველოში, სდაც ვაბირებ ერთგულ სამსახურს. მამათქვენი სად...

— მამახედი რეკლუციამ იმსჯერა, — წარმოსთქვა ქალმა და მუბლზე ჩრდილმა გადაურბინა.

— რა ბედნიერია ბრძანდებათ, — განაცემო მამახედი, რომ ბავშობი-დანვე კომუნისტი იუვათ სულით და გულით, თქვენი მამის სასელოვანი შვილი. მე ათი წელიწადი უძისოდ დავესეტობდი, სანამ ჩემივე თვლით არ დავრწმუნდი, რომ მხოლოდ საბჭოთა სელისუფლებამ შექმნა მშრომელი ხალხის თავისუფალი სასელმწიფო.

— უკაცრავად, ასეა დრო არ მამახეს თქვენთან სალაპარაკოდ... ზირველი საბათისთვის მოხსენებან ვაკეთებ ქალთა კლუბში, სვალ ამ დროს კი მობრძანდით და მოკისმენთ, ვნახოთ, რამდენად ვამოადგებით საბჭოთა სელისუფლებას.

მამახედი.





პიონერები მამუთან.

შხის სხივმა შემოიბრინა
ღამისი მთა და ველები,
ხალისით შესვდენ ამ სურათს
ეონადი პიონერები.

სოფლის პატარა მინდორზე,
სად უხვად არის სილები,
პიონერები მოხანან,
კომუნისტურად ზრდილები.

ტანჯარჯიმობენ, ფილტვები
უსვად ისუნთქავს გრილ ჰაერს,
ჯანსაღი შვილი ეზრდება
წარსულში ტანჯვით სავსე კლესს.

ქვეყნის ახალი ცხოვრება
მათ შეითვისეს სავსებით,
მიდიან კომუნიზმისკენ
მარქსის, ლენინის სწორი გზით.

წითლად შეღება საფსულმა
ბალის ღამისი სეები,
სულ ახალ-ახალ სურათს შლის
სოფლად საფსულის დღეები.

შვილნი ვარჯიშზე გაგზავნეს,
 გლეხნი წავიდენ უანაში;
 შეერთებულსა მშრომელებს
 ვერვინ აჯობებს ძალაში.

რომ მიეშველონ მამებსა,
 მოდიან ჰიონერები,
 შრომისთვის აქეზებით
 ძალ-ღონით სხვსე სელები.

— ვიმ, კენაცვალეთ, შვილებო,
 თქვენით ხარობენ მამები,
 თქვენით შეიმობს სოფელი,
 თქვენა ხართ მტკიცე ძალები.

ბევრგვარი ტანჯვა გვინახავს
 მოძაველისათვის ბრძოლაში,
 ბევრი წამება ვიკემეთ
 მძარცველთა ბატონობაში.

მუშებმა სისხლი დაღვარეს,
 მათთან ვიუავით გლეხებიც,
 ზოგს გადაგვიწვეს სახლ-კარი,
 ზოგს მოგვამტვრიეს ფეხები.

თქვენ კი არ განსოვით ეს ბრძოლა,
 მაგრამ მის ძალას სომ სედებით?
 იბრძოლეთ თავდაცვისათვის,
 ხურავის მონა გახდებით.

გამაგრდით, ჩვენო შვილებო,
 იცქირეთ მძლავრი თვალებით,
 ვეულამ იკემოს კავშირი
 მუშა და გლეხის ძალების.

მოპოებული დიდება
 ჩვენთვის უკუდავი განძია,
 აშენეთ სოფელ-ქალაქი,
 გააქრეთ ბურჟუაზია.

აშენეთ, ჩვენო შვილებო,
 ცოდნით ახალი ქვეყანა,
 კომუნისტურად სსსრ მსოფლოდ
 მთელ მსოფლიოსე, უკელგანა.

— ჩვენგან ელიან, ძამილო,
 ახალსა ძალებს, მშენებლებს.
 ჩვენც არ დავსოგავთ ძალ-ღონეს
 და გავაგეთებთ თქვენზე მეტს.

ასეთი იყო ზასუსი,
 ცქრილა ზიონერების,
 გულის აღფრთოვანებს უურება
 მათი ახალი ცხოვრების.

ელ. ხუნდაძე





პატარა ბელურა.

ერთსელ გახაფსულსე, საღამოს, არტური და ჯონი ისინდენ იატაკზე და სათამაშო ქაღალდიდან ამქნებდენ ოთახში სახლს.

უცბად შემოესმათ უცნაური სმაურობა. არტური დაადგქერდა ჯონს, ჯონი კი შესცქეროდა არტურს, და ორივენი უსმენდენ.

— გეხმის? — ჰკითხა ჯონმა.

— შესძოდა, მაგრამ რა უნდა ეოფილიეოს? თავიკი სომ არ განხდა? — ვერ მოახწრო ამის თქმა, რომ ბუსრიდან ფართხალით გამოვიდა ჯერ კიდევ სრულიად ზატარა ვვითელებისკარტა ბელურა.

— ბელურა! მიღში ჩამოვარდებოდა! — დაიუვირა ჯონმა და უნდოდა ბარტეის დაჭერა, მაგრამ ბარტეი ძლიერ სწრაფი აღმოჩნდა. ბელურამ შეიფართხუნა ფრთები და შემერა ტახტის ქვეშ. არტური და ჯონი შეეცადენ როგორმე გამოეევენათ იქიდან. ისინი უჭრიდენ ზურის ნამცეცებს და მარცვლებს, მაგრამ შეშინებული ბარტეი არ გამოვიდა ამითთან და ტახტის ქვეშ გაათუნა.

ძეოჩე დღეს დილით არტური და ჯონი ფანჯარასე სწრაფმა კაკუნმა გამოაღვიძა და როგორ კაკვირდენ ისინი, როცა დაინახეს, რომ ორი მოხუცი ბელურა ნისკარტს უკაკუნებდა ფანჯარასე.

იმათ გააღეს ფანჯარა, და ბელურები შემოფრინდენ ოთახში. ესენი იუვნენ ვვითელებისკარტა ბელურას დედა და მამა. ისინი დასტოდენ ოთახში, უჭეინანებდენ თავიანთს შვილს — ბარტეს. ბარტეიც გამოესმაურა მათ თავისებურად, ძაღვ გამოფერა ტახტის ქვეშიდან; მათ სამივემ მსიარული ქღურტულით იწვეეს ოთახში სტუნვა. შემდეგ შეფრინდენ ფანჯარასე და გაფრინდენ. საძუდაძოდ? მაგრამ, არა! ისინი მოფრინდებოდენ სოღმე ეოველ დილით, რადგანაც ეოველ დილას არტური და ჯონი ჰქრიდენ მათთვის ზურის ნამცეცებს და მარცვლებს.

ამხაირად დაუშეკობრდენ არტური და ჯონი ბელურების ოჯახს.

პურის ღიბნაპი.

ბევრი რამ არ ესმოდა გოგის. დედა მიდიოდა ხოლმე სადღაც რიგში. რა არის ეს რაღაც რიგი? დედამ უთხრა, რომ ეს არის ბევრი, ბევრი ხალხი; დგანან ყველანი და ყიდულობენ კარაქსა და რძეს.

ახლა ყველანი პურის წიგნაკებზე ლაპარაკობენ.

გოგიმ იცის, რა არის წიგნაკი — ეს პატარა წიგნია და შეიძლება წაიკითხო; და იცის, რა არის პური.

მაგრამ რა არის პურის წიგნაკი, მაინც არ ესმის.

გოგიმ მეზობელ გოგონას, თინას, გამოჰკითხა ამ წიგნაკის შესახებ.

— ეს წიგნაკი პურის მისაღებად არის, — მოუჭრა თინამ.

მაინც ვერაფერი გაიგო გოგიმ. ერთხელ დედას პურის წიგნაკი მაგიდაზე დარჩა, და გოგიმ დასტაცა ხელი. ჯერ დახევა მოინდომა, მერე კი იფიქრა: „კარგი

იქნება ამ ქრელი ფურცლებისგან პეპლები გამოვჭრა, ჰაეროპლანები და სხვა სათამაშოები გავაკეთო“.

ექნება მაკრატელი, ვერ იპოვნა. მაშინ მივიდა გოგი დიდ სკივრთან და პურის წიგნაკი ქვეშ შეაგდო.

მეორე დღიას დიდხანს ეძება დედამ პურის წიგნაკი, მაგრამ ვერსად ვერ იპოვნა. გოგი ხმაგაკმენდილი იყო, ვითომც არაფერი იცისო, და თან კი ფიქრობდა: „დედას ჩქარა დავიწყდება პურის წიგნაკი, და მე ქალაღი დამრჩება“.

იმ საღამოს ჩაი უპუროდ დღიას. დედამ რატომღაც ვერ იპოვნა პური.

მეორე დღეს დედა სამუშაოდან ძალიან გვიან დაბრუნდა: დიდხანს იდგა რიგში და მხოლოდ ცოტა თეთრი პური მოიტანა.

გოგის შიოდა და ანჩხლობდა. დედას თითქმის არაფერი უჭამია.

დედა მთელ დღეს რიგში ატარებდა და გოგის მარტოკა სტოვებდა.

ერთ დღეს სამზარეულოში მოსარეცხე დარო რეცხავდა. გოგი იდგა იმასთან და შესცქეროდა დაროს ხელებით აქაფებულ წყალს.

უცბად გოგის რაღაც მოაგონდა და დაჰკითხა:



— დარო, შენც გაქვს პურის წიგნაკი.

— მაქვს, მაშა! უმისოდ როგორ შეიძლება, — უპასუხა დარომ.

რა კარგი იქნება, რომ დაროს წიგნაკიც ხელში ჩაიგდოს გოგომ!

— მაშ მომეცი შენი წიგნაკი, სთხოვა გოგომ.

— შენ რად გინდა?

— მინდა წავიკითხო, — ეშმაკურად უთხრა აოგომ.

— განა ეს წასაკითხია? — გაიღიმა დარომ.

— აბა მაშ პეპლებს გავაკეთებ, ვითამაშებ.

— არა, გოგი, ამ წიგნაკით არ თამაშობენ. ამ წიგნაკით პურს იძლევიან...

— როგორ თუ პურს? — წაილულლულა გოგომ და წლად გაქარხლდა.

— როგორ და წახვალ ამ წიგნაკით თორწეში, მოსჭირ ტალონს და პურს იაფ ფასად მიიღებ. რიგში დგომაც არ არის საჭირო, პური უსათუოდ გერგება.

გოგი ჩაჩუმდა. აი თურმე დედამისს რატომ არა ჰქონია პური! აი თურმე დედა ასე გვიან რატომ ბრუნდებოდა შინ! რიგში იდგა და პურს უწიგნაკოდ ვერ შოულობდა.

დაფიქრებული გამოვიდა გოგი სამზარეულოდან, ეცა სკივრს, დაიკუზა და დაიწყა იმის ქვეშ ხელების ფათური.

რა ბედნიერებაა! წიგნაკი მთელია! გოგომ ფრთხილად გადასწმინდა მტვერი წიგნაკზე და მაგიდაზე დასდო.

— შეხედეთ! აგერ წიგნაკი! —

წამოიძახა დედამ, როდესაც მაგიდაზე პურის წიგნაკი დაინახა, — მე კი ვეძებ და ვეძებ! როგორ გავწვალდი ამის გულისთვის!

ამ დროს მოისმა დარცხვენილი გოგის ჩურჩული:

— ეს ჩემი ბრალია... აღარ ვიზამ... მე მეგონა, რომ ეს ცუდი წიგნაკია და დავმაღე. ახლა კი ვიცი, რომ კარგი წიგნაკია! ამით პურს იძლევიან.

დედამ თავი გაიქნია.

— ეჰ, გოგი! შენი მიზეზით ჩვენ რამდენიმე დღე უპუროდ ვიყავით! გახსოვდეს, თუ რამე არ გესმის, სთხოვე უფროსებს აგისხნან.


იმავე საღამოს წავიდა დედა თორწეში და მოიტანა პური. პური გოგის განსაკუთრებით გემრიელი ერგვნა. დედაც სიამოვნებით სჭამდა და თან აღერსიანად ეხუმრებოდა:

— შენი თავიც დასაჯე და მეც დამსაჯე. პურის წიგნაკი დამაღე, შა?! რა სულელი ბიჭიკო ხარ, გოგი!

თ. ა.



ილოს ზოსტანი.



წელს ბოსტანში დანჯო ილომ
სასუი, კომბოსტო, სტაფილო.
თვითონ რწუვავდა და უკლიდა
ძოელი გულით და სულითა.
მაგრამ ერთ დღეს ნახა დილით,
როს წამოდგა ილო ძილით, —
მესვეიან ბოსტანს თხებო,
გლუჯუნ ჰირით და ფეხებით!
— ეი, თხებო, თხებო, თხებო,

სომ არ ცინდათ რომ ვაგტეუპოთ?
მოეცაღეთ ბოსტანს ჩქარა,
თქვე სამგლე და კარდაკანა!
მაგრამ შესე ამ უტიფარ,
უსინდისო ნაცრინსუერ თხებს:
მოჭეუნენ კენეტას სრამი-სრუმიტ
და უურიც არ გაიბერტეეს;
მაშინ ილომ შეუტია:

— ვადით მეთქი აქედანს! —
ვადავიდა იერიშზე
და დიდ კომბალს იქნევს თანა.
თხებმა რქები მოიძარჯვეს,
ჩხუბი კვრე არ უნდაო,
მოტრიალდენ და ილოსკენ
ვამოქანდენ სათითაოდ.

მაშინ ილოს მოსაშველად
ვამოკურა თხებსა მურა,
შეჭეფა და ფაცრი-ფუცხით
ვადარეკა უმადურად.
ილო დგას და სინა-
სულით
უსქერს ვადაკუნერტილ
ბოსტანს:

— რა ნაშრომი ამიოსრეს!
რა სტაფილო, რა კომბოსტო!... მ. მიქელაძე

უფინ და ასლა



ამერიკის ჰაეროვანი გამოიგონა 1803 წ. ბელგი-ელმა ფიზიკოსმა რობერტსონმა.



გერმანული დირიჯაბლი ამერიკაში მიფრინავს

როდესაც აი ასეთი სურათი ნახეს დახატული 75 წლის წინად, ხალხი ღიპარაკობდა: „აი სად უნდა იცხოვროს კაცმა. როცა მოესურვება — გაფრინდება, სადაც უნდა“.

გასტკეპროდენ ფანჯრებში და უხაროდათ, ზოგი კი იცინოდა: „რა სულელები არიან! ატყუებენ, ესენი კი ხარობენ. თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი: შეუძლებელია ფრენა“.

ილანძღებოდა ხალხი, აფურთხებდა, შორდებოდა სურათს.

ბავიდა დრო. იმ დროის ხალხის შვილიშვილების დროა ჩვენი დრო. უყურებს ხალხი ზეცაში საუცხოვო სიგარას.


სიგარაში ფანჯრებიც არის, ძრავებიც, სამზარეულოც, საპირფარეშო, სარკე, სავარძლები და, ამბობენ, მაგიდებზე ყუავილებიც კი დგასო.

აი სად არის კარგი საცხოვრებელი ადგილი.

სიგარა კი ღრიალებს ჰაერში, დაფრინავს მაღლა ქალაქის თავზე წრებად.



ჰეროალანი, რომელიც 1784 წელს უნდა აეშენებია ფრანგ გამომგონებელს ჯერარდს.



ოსოაეიკიმის მიერ აშენებული ჰეროალანი.

ჰიდევ გამოჩნდა ერთი უცნაური კაცი. როდესაც წიგნში ასეთი ნახაზი მოათავსეს, ხალხი ამბობდა:

— ამ საფრთხობელაზე ფრენას უმჯობესია ცოცხალ ბატზე შეჯდუ და ცოცხით დააფრთხო, უფრო გავაფრენს. შინ რომ დაბრუნდები, — ბატისაგან საცივს გააკეთებ და ბუხარს მიუჯდები.

ასე იგდებდნენ სასაცილოდ ამ ას ორმოცდაათი წლის წინად.

ჰხლა კი ვინ არ იცის, როგორ წამოფრინდებიან ხოლმე ეს ბატები ჰეროდრომიდან, მერე მარტო ხომ არა, ჯოგად; ხალხი იფანტება, ეშინია არ ჩამოაწვეთოს ბატმა მაღლიდან ისეთი რამ, რასაც შეუძლია მთელი ქალაქი მტვრად აქციოს; იქ, სადაც უზარმაზარი სახლი იდგა, მხოლოდ ორმოც დარჩება.

ან იქნება ჩამოასხას ზევიდან საწამლავე მყრალი, სასიკვდილო, ისეთი, რომ სადაც დევსხმის, იმ ადგილას სამი წლის განმავლობაში ბალახი არ ამოვა.



აი პროექტი, რომელსაც სასაცილოდ იგდებდნენ მე-XVIII საუკუნეში.



აი რა გამოვიდა იმისაგან 130 წლის შემდეგ.

ამ სურათს ხალხი დასცინოდა და ამბობდა:

— არა, ერთი უყურეთ, რა მახინჯია, რა თავი აქვს. ბრიყვს ჰგონია, რომ შეიძლება სამოვარზე შეჯდეს, უკნიდან ორთქლი გაუშვა და ცხრა მთას იქით გადაფრინდეს. ამისთანა ბედნიერებას ვინ ეღირსება!

გაზეთებსა და ჟურნალებში, ვისაც როგორ შეეძლო, ყველა ლანძღავდა საწყალ ინჟინერს.

და მართლაც განა ამას შეუძლია რწყილივით ახტეს და მაშხალასავით შესრიალდეს ცაში? გამომგონებელი კი ფიქრობდა, რომ საჭიროა ისეთი ძალის მოპოება, რომელიც უბიძგებს აპარატს, როგორც თოფის წამალი უბიძგებს ხოლმე მაშხალას, და უსათუოდ აიყვანს მალლა კაცს. პატარა მწერი რომ მიაკრა მაშხალას, ხომ აიტაცებს ის მწერს. ის ასე ფიქრობდა, მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ სასაცილო მხედარივით გადამჯდარი მიფრინავდა ჟურნალის ფურცელზე.

ეს გუშინ იყო. ხალხი ცაში იყურებოდა, ვარსკვლავებს იღებდა მიზანში და ოცნებობდა, რომ იქ, ბნელ ცაში პირდაპირ ნათელი ვარსკვლავისთვის მოეხვედრებოდა დიდი მაშხალა. ავარდება მაშხალა მალლა, გაფრინდება დედამიწიდან და წავა იმ სიმაღლეზე, სადამდეც არცერთ ორბს, არცერთ ტყვიას არ მიუღწევია, სადაც ორასმეტრიან გერმანულ ზარბაზნსაც კი არ შეუძლია მოახვედროს ყუმბარა, სადაც ჰაერიც არ არის და ცაზე გავარვარებულ ლოდევით ანთია მზე.

მტკვრივით მობნეულია ვარსკვლავები ცაზე. ყინვაა ისეთი, როგორიც დედამიწაზე არავის უნახავს. სწორედ იქიდან ქრის პოლუსი. სიცივე, ყინავს ოკეანეს. პირველად აღადიანმა ინატრა, როგორც ბავშმა, ნეტავი მთვარეზე გამაფრინაო.

და აი ახლა სამეცნიერო ჟურნალებში ბეჭდავენ, ხაზავენ, ანგარიშობენ ციფრებით.

ფიქრობენ და ცდილობენ გამოიანგარიშონ, რამდენი რკინა და ფოლადია საჭირო და როგორი დენთი (თოფის წამალი) უნდა იხმარონ ცაში გასაფრენი მაშხალისთვის.



მე-19 საუკუნის შუა რიყებში გერმანულ ჟურნალებში დასცინოდნენ მაშხალის ძრავის გამომგონებელს.



ახლა გერმანიაში აკეთებენ მაშხალას, რომლითაც გერმანელი სწავლულები ფიქრობენ მთვარეზე აფრენას.



ორმოცდაათი წლის წინ დასკინოდენ.



ახლა კი აღარ დასკინიან.

ღაიღალა გერმანელი გლეხი მუშაობით. ხნავს, ფშვინავს, ორთქლმავალი ვით, ოფლი წურწურით ჩამოსდის. მოიწმინდა ოფლი და გაიფიქრა:

— ორთქლი ამდის ორთქლმავალი ვით. რა კარგი იქნება მართლა ორთქლმავალი რომ შევაბათ და ვაკეთებინოთ გლეხის საქმე! დაეჯდებოდნე ორთქლმავლის კოფოზე და გავსწევდი. ორთქლმავალი დამიხნავდა, მომიმკიდა, გამიღწეწავდა და გამინიავებდა პურს.

აი რაზე ოცნებობდა ნახევარი საუკუნის წინ გერმანელი გლეხი.

მაგრამ ცუდი დღე კი დააყენეს: ჯერ დახატეს, პირში ჩიბუხი ჩაუდეს, მანქანაზე წამოასკუბეს და გაზეთებში გამოქუმეს სასაცილოდ.

ის გერმანელი დიდი ხანია გარდაიცვალა გულდაწყვეტილი, და ახლა ჩვენს მინდვრებში კი გააქვს გუგუნნი საბჭოთა კავშირის ქარხნებში გაკეთებულ ტრაქტორებს; ერთი კი არა, ათი გუთანია აქვს მოკიდებული და არღვევს მიწას, აბრუნებს მთელ მიხლორს, მოხნავს სწრაფად. მიწისმუშა კი ზის თავისთვის მანქანის სავარძელში, პირში ჩიბუხი უჭირავს, ქუდი გვერდზე აქვს მოგდებული, ატრიალებს საჭეს და ფიქრობს: „ნავთი თუ მეყო, სალამომღე სახნავი ცოტა-ლა დამრჩება“.

მოაბი ტრაქტორს ცელი — მოგიცვლავს.

შეიძლება დადგა ტრაქტორი, და საღეწავსაც ატრიალებს.

დაიგუგუნებს მანქანა და ლეწავს პურს. შემოდგომა დადგება, აცივდება, ატალახდება, — ხაბძელში შეგიძლია დადგა ტრაქტორი, ატრიალებს დინამოს და გამოსცემს თეთრ სინათლეს, გააშუქებს ქოხებს. თუ სინათლეა, მხიარულად ხარ.

ეს გვერგვის მსგავსი გოგორა გამოიგონა ერთმა კაცმა ამ ასი წლის წინად. მაგრამ მაშინდელ ყურნალ-გაზეთებში სასაცილოდ აიგდეს, თვითონაც დახატეს და ძაღლიც, ვითომ ორივენი ამ გვერგვში შეუსვენებლივ დარბიან და დარბიან უმიზნოდ.

ასი წლის შემდეგ კი გვერგვი ჯაჭვის მსგავს სახსრიან გოგორად გადაიქცა, რომელსაც შიგნით მანქანა აქვს ჩადგმული. გოგორა რომ არ წაქცეულიყო, გაუკეთეს ზევიდან რკინის ლენტზე კბილები, ხორკლები. მანქანა ატრიალებს ხორკლებიან ლენტს. ლენტი მიიწევს წინ, მიდის, არც დაგორების, არც დავარდნის შიში არა აქვს. შიგნით არაფერია, არც კაცი, არც ძაღლი არ დარბის. პირიქით, რკინის ოთახში ათიოდ კაცი დამშვიდებით ზის. წინ ხარბანება მომართული და ყოველის მხრით ტყვიამფრქვევებია გაშვებული.

ამგვარად რკინის გვერგვისაგან ტანკი გაკეთდა.

მაშინ გამოშვებულს დასცინოდნენ, მაგრამ მსოფლიო ომიანობის დროს კი, როდესაც ხალხი სანგრებში იყო ჩასაფრებული და ირგვლივ მავთულების ხლართებით შემოფარგული, თოფებით



აი როგორ დახატეს მაშინ ის გვერგვი, რომელიც ტანკად იქცა.



ლენინგრადის ქარხანაში გაკეთებული ტანკი.

შეიარაღებული და ისეთ სიმაგრეში ეგონათ თავი, რომ აღარაფრის შიში არ ჰქონდათ, უცებ მოისმა ხეების მტვრევის ხმა, და ტყიდან გამოვიდა უზარმაზარი ვეშაპი. ვეშაპს გოგრებზე რელსები ჰქონდა სალტესავით შემოვლებული — შეკრული ჯაჭვი. მოდიოდა ეს ფოლადის ვეშაპი ტყეში და მავთულუების ხლართში ისე ადვილად, როგორც დათვი ობობას ქსელში. ხალხი სანგრებში განცვიფრდა, თოფები კინალამ დასცივდათ.

ყველაზე უფრო შამაცი გერმანელი ოფიცერი გამოხტა სანგრიდან და გაშტერებული შესცქეროდა ბუმბერაზს, ბუმბერაზი კი ამ დროს მიუახლოვდა მას. კარი გაიღო, და ადამიანის ხელმა დაიჭირა გაშტერებული ოფიცერი, შეათრია ვეშაპის მუცელში და მიიკეტა კარი.

დაიგოილა ზარბაზნებმა და ტყვიამურქვევებმა, დაჰფანტა, გაანიავა ჯარი, და ტანკი გაუდგა დამშვიდებით გზას.

ჩვენ ახლა გვიკვირს, როგორ დასცინოდენ მაშინ ამ გვერგვს და როგორ ეუბნებოდენ ბავშვებს: „აბა უყურე ამ სურათს. განსოვდეს, ასეთი სისულელე არ გამოიგონო“.



სასარგებლო მახინჯები.

ვახშმის წინ ბავშვები ბაღში გავიდნენ. მზე უკვე ჩასულიყო; ბინდებოდა.

— ვაი, ვაი, ვაი!.. უფრთხილდით!.. — დაიკვილა ირიკომ და მთლად მოიკრუნჩხა.

— რა ამბავია?

— რა დაგემართა?..

— ლამურები!.. ვა, ვაი, ვაი!..

— ფუ, რა საზიზღრები არიან!..

ამათ თმებში ჩაფრენა იციან.

— ამბობენ, როგორც კი ჩააფრინდებიან სახეში, იმ წუთას სისხლის წოვას დაიწყებენ თურმე...

მე ვზივარ ღობის იქით, გრძელ სკამზე, ყურს ვუგდებ ბავშვების ყბელობას.

ავდექი და ვეუბნები:

— ეჰ, ბავშვებო, მართალი არ არის ყველაფერი ის, რასაც თქვენ ლამურაზე ამბობდით...

ირიკო გაჯავრდა.

— შენ ყოველთვის იცავ ყოველგვარ საზიზღარ ცხოველს.

— მაშუ კარგი, მოდით აქ, დასხედით სკამზე, არცერთი ღამურა თქვენ არ მოგვეკარებათ.

— ან კი რისთვის ცხოვრობენ ეს უვარგისი ღამურები? — ამოიოხრა ირიკომ.

— რა თქმა უნდა, მხოლოდ გვაშინებენ...

— არა, ბავშვებო, ღამურებს ჩიტებზე ნაკლებ არ უნდა იცავდეთ... ისინი მწერებით იკვებებიან და ყველაზე მავნებლებს ანადგურებენ მათ შორის. აგერ, ირას სახე მთლად დაკბენილი აქვს კოლოებისგან. კიდევ კარგი, რომ ეს ციების კოლოები არ არიან, თორემ ირა ავად გახდებოდა ციებით. ღამურა ღამეში სამასამდე ღამის პეპელას, ხარაბუხას და კოლოს შთანთქავს.

— ჰოდა, ეს ჩიტი მეტის-მეტად საზიზღარია, — ბუტბუტებს ირიკო.

— ეს ჩიტი არ არის, — ვეუბნები, — ცხოველია. ბუმბული ღამურებს არა აქვთ; სხეული მათ დაფარული აქვთ მახოხის ფერი ბეწვით და მხოლოდ წინა თათები აქვთ აპკიან ფრთებად გადაქცეული. მიწაზე დაცოცავენ თავგებივით, მაგრამ ნელა, კარგად დამჭრებიან, ფრინავენ საუცხოვოდ, თუმცა ეს მათ უფრო ეძინელებათ ვიდრე ჩიტებს, რადგან ბუმბული არა აქვთ...

— ღამე მწერებს როგორღა ხედავს ღამურა, თანაც ისე სწრა-

ფად დაფრინავს, — განცვიფრებულნი არიან ბავშვები.

— ღამურა ცუდად ხედავს, მაგრამ მშვენივრად ესმის, კიდევ უკეთ გრძნობს ცხვირით, ყურით, ფრთით. ერთხელ ღამურას თვალები წმინდა სანთლით დაუწებეს, ხოლო იმ ოთახში, სადაც ის შეუშვეს, სიგრძე-სიგანეზე გასკიმეს წვრილი ძაფები ჟღარუნებით. ასე დაფრინავდა ღამურა მთელ ოთახში და ერთხელაც კი არ წამოედო არცერთ ძაფს... აი, როგორი მოხერხებულია!...

ამერიკაში კოლოებისა და სხვა მწერებისაგან მოსვენება არ არის. არც ადამიანებს, არც ცხოველებს არ შეუძლიათ მათგან თავის დახწევა. ამიტომ ამერიკელები განსაკუთრებულად ცდილობენ ღამურების დაცვას. ისინი მათთვის განსაკუთრებულ კოშკებსაც კი აგებენ, რომ ღამურებს დღისით მოსვენებით შეეძლოსთ ძილი... სძინავთ კი მათ სასაცილოდ: თავდაყირა. ჩაეკიდებიან რამეს უკანა თათების ბრჭყალებით, დაეკიდებიან ქვევითკენ და სძინავთ.

— საზამთროდ ისინიც მიფრინავენ, როგორც ჩიტები? — კითხულობენ ბავშვები.

— სად შეუძლიათ! ისინი შორს ვერ გაფრინდებიან და ზამთარს აქ ატარებენ. შეძრებებიან ფულუროში, სხვენებზე, დაეკიდებიან თავდაყირა ერთმანეთის გვერდით და მთელი ზამთრით იძინებენ.

ლაკარაკოვს, ლაკარაკოვს!!

ი რ ი ნ ე მ .

ივლისის საშინელი სიცხეებია. მზე წვავს, წვავს დილიდან საღამომდე. ცა ისეთი ფერისაა, თითქოს მზეს ამოუწვავსო. უველა, ვინაა კი მუშაობის უნარი აქვს, მინდორშია წასული, სოფელში შიშოლოდ მოხუცნი და ზატარა



ბავშვები დარჩენ. ზერანგის ამბრა, ჭუჭყიანნი ძოვლ დღეს ქუხაში სილასა და მტვერში თამაშობენ ბავშვები. სოფელი სიჩუძითაა მოცული. მოხუცი ბებია ძაკრინე წინდით ხელში სის ოთახში. სიცხისაგან თვალები ესუჭება.... თვალემს. გამსდარი, სიბერისაგან დასუსტებული ხელები კალთაში დაუშვა, წინდა ხელიდან გაუკარდა.

— ს-ს-ს, — ბზუის დიდი შავი ბუსი და მიცოცავს ბებთან სახესე. ბებია კი აქნევს თავს, სვრინავს და ვერ გრძნობს ბუსს. ორი წლის ირინეს სრულიად არ ეძინება, ამომერა ტასტიდან და გავიდა აივანსე. აქედან უველაფერს კარგად ხედავს: აგერ კატა დაძვდარა ფანჯარასე და თათებით ზიწს იბანს, ბანჯვკლიანი

მურია კი შავ ვეჯეს უეეფს. ირინე ჩაცოცდა ბიენიდან ესოში და აკერ ბავზბავებს ბილიკსე. ამუეად მიდის, სელები გაუშლია — არ დაუეცეო. ქუჩაში ირინე ძალიან მსიარულია: აკე ძალუა კატოს კასრით წეალი მიაქვს, აკერ მია ივანე ურმით მიდის.

— ირინე, მომეცალე გ სიდან, გავსრეს, — წურება მია ივანე. ირინეს შეეშინდა, გაცუნცულდა ღობისკენ და ჭინჭარში დაეცა. აღრიალდა. ჭუჭუიანი სელები სახესე მიიფარა, ცრემლები ჭუჭუში აურია და სახე ჭუჭუის ზოლებით დაესურა. ძორიანსლა ბავშვების ხმა მოისმა.

ძირბიან ბავშვები მდინარესე საბანაოდ. შეწევიტა ირინემ ტირილი, გამოეკიდა ბავშვებს:

— მეც... მეც!!

— აბა რა შენი საქმეა, — იციინან ბავშვები, მსიარული თინა კი ესეეწება ამხანაგებს:

— წავიევანოთ, დაესვათ წელის ზირას.

— როგორ შეიძლება! — უხასუსა ვარომ.

— წავიევანოთ, რა უჭირს... მდინარის ზირას სიგრილეა, ქვიძა მშრალი და თეთრია.

გაისადეს ბავშვებმა ტანი და ბავაეებივით ჩაცვიედენ წეალში. კივიან, ჭეივიან, ხმურობენ.

— ვისრნობი, თინა!

— ნუ მეჭიდები სელებით, მარო!

— ნახეთ, ნახეთ, რა კარგი ცურვა ვიცი!

— ხა-ხა-ხა!!

ზის ირინე მდინარის ზირას, ქვიძაში თამაშობს, ნელ-ნელა მიიწია წეალთან, ფეხები წეალში ჩაუშვა..... წეალში იცქირება. წელიდან მორე ირინე უეურებს, ხუჭუჭთმიანი, წითელლეა.



რა სასაცილოა!

უეცრად უკანიდან წააუღო ვიღაცამ სელი. ირინემ მიიხედა: დედა.

— უ, შე საძაგელო, რა გინდა მდინარის ზინას? გინდა დაიხრჩო? შე განჴენებ სეირს, და ერთი-ორი მოხვდა ირინეს. ატირდა ირინე.

— ძალუა ნინო, ჩვენ წამოვიუვანეთ ირინე, — იმასის წულიდან თინა.

— ჩვენ, ჩვენ, ჩვენ!

— უ, თქვე საძაგლებო, — ჯაფრობს ნინო, — მერე რა ნება გქონდათ. ან მაკრინე რას უუბრებდა. დატოვე ამის შემდეგ ბავში! აგერ თვითონ მაკრინეც შორბის, თავსახვევი ერთ კვერდზე მოქცევა, წინსაფარი მეორეზე, სელეებს თავში იცემს.

— უნდა განდოს კაცმა ამის შემდეგ ბავში? — ჯაფრობს ნინო, ძალიან კი მოგიკვლია!

— უჰ, ცელქო, — ბუტბუტებს ბებია, — შე კი ჩემი დამემართა, ეს-ეს იყო ჩემს კვერდით ტრიალებდა, თვალის დასამსამებაც ვერ მოვასწარი. დამაცადე, დამაცადე! ნინო კი ბებიას უურს არ უგდებდა, ჩაიხუტა ირინე გულში და შინისაკენ გაეშურა. ირინე აღარ ტირის. მოეხვია დედას, ბუტბუტებს, ბუტბუტებს რაღაცას სურს უველაფერი. უამბოს დედას, მაგრამ ლაპარაკი ჯერ არ იცის.

ავადმყოფობა.

მარაკზაზე, რომელიც ქალაქისკენ მიემართება, ცხენიანი ურეში მიდის. ძალიან ცხელა. გზის ორივე მხარეს ჰურის ენა უკითლად გადაჭიმულა. ცხენის ფეხის თითოეულ დარტყმასე მტვერით ივსება ხანა. ურეში თვალცრემლიანი ჩაფიქრებული ნინო ზის, კალთაში ჭრელ საბანში გახვეული ირინე უწევს. კრუსუნებს, საცოდავად კვნესის ირინე. ნინოს სახეზე ტანჯვაა.

ნინო არავის ლაპარაკს არ უკადებდა უფრო, დაეცა ტასტზე. ბაღიშში ჩამალა თავი და ტიროდა.

გასაფხულის თბილი დილა იყო. ნინოს სახლის წინ შუა ქუჩაში წამოწოლილიყო მუჩია და უუურებდა ვეველა კამფლედი-გამომფლეღს. კიბესთან მიწისგან რაღაცას აძენებდა სუჭუჭს, წითელ-ლოვზ გოგონას. გიმერვით შავი თვალები რაღაც განსაკუთრებული უურადღებით იუურებოდა. ეს იყო ირინე, რომელიც კქიმმა შობარჩინა. აკერ მეორე მხრიდან გამოჩნდა ბავშუბის ჯგუფი; ირინე მათ ვერ სედავდა.

— ირინე, ირინე, ა-უ, გაჭკიოდენ ბავშუბი და ფეხებით ამტკვერებდენ იქაურობას.

ირინემ თავი არ ასწია და მუშაობას განაგრძობდა.

— ირინე ურუ! — დაიკიეღა ერთმა გოგომ.

— ირინე მუნჯი, — შიამახა მეორემ.

— ურუ და მუნჯიც, — გაისმა მესამე სმა.

— ურუ — მუნჯი! ურუ — მუნჯი!

— უ-უ-უ! — დაუსტვინა ერთმა ბიჭმა, მეორე კი მიეზარა ირინეს უკანიდან და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაუსტვინა ირინეს თავთან.

ბავშუბი სიცილით ისოცებოდნენ.

კიბის მეტოკების გამო თუ შემთხვევით, ირინემ უკან მოიხედა. ბიჭი, რომელიც უსტვინდა, დაედროჯა, დანაწინებმა კი სიცილი დაიწუეს.

ირინე გაკვირვებული უუურებდა ბავშუბს და ერთბაშად, თვითონაც არ იცოდა რატომ, მწარე ტირილი დაიწყო. სმაურობაზე ოთახიდან ნინო გამოვიდა.

— ეს რა ამბავია? უ, თქვენ! არ გრცხვენიათ? ამ წუთს დაიკარგეთ აქედან.

ბავშუბი სწრაფად გაიფანტნენ.

ნინო ცოტა ხანს უუურებდა ირინეს, მერე მწარედ ამოიხარა და ნელა შებრუნდა სახლში.

— აჯანყებენ? — შეეკითხა ქმარი.

— გაწვადეს, — უპასუხა დაღონებული ნინო, — რაშია დამ-
 ნაძვე! შოელი თავისი სიცოცხლე ასეთი საცოდავი უნდა იქოს.



არც თავისთვის გამოდგება და არც საღისისთვის. არა სჯობდა
 მოძვედარიო!?

5. ბ.

(გაგრძელება იქნება)

კოოპერაციის დღე.

კოოპერაცია უცხო სიტყვაა და „ერთად მოქმედება“-ს ნიშნავს. თუ, ვთქვათ, რაიმე საქმის გაკეთება ერთ კაცს უძნელდება, ის სხვებს დაიხმარებს. საერთო საქმის გასაკეთებლად ადამიანების ასეთ გაერთიანებას ჰქვიან კოოპერაცია.

პირველი მაღაზიები — კოოპერატივები ქალაქ როჩდელის (ინგლისი) ფეიქრებმა გახსნეს, ვინაიდან გადაწყვიტეს თავი დაეღწიათ მეღუქნეებისაგან. მეღუქნეები მათ ცუდ საქონელს აძლევდნენ, თანაც ძვირად ჰყიდდნენ. თითოეულმა ფეიქარმა გადასდო ცოტაოდენი ფული და ამით გახსნეს თავისი მუშური ღუქანი, სადაც მუშებს არავინ არ ატყუებდა და კარგი საქონელიც იყო, თანაც გაცილებით უფრო იაფად, ვიდრე მეღუქნეებთან. ამ მუშურ ღუქნებს კოოპერატივები დაარქვეს, ამ საქმის დამწყებთ კი — კოოპერაციის როჩდელის პიონერები.

ცოტა ხნის შემდეგ სხვა ქვეყნების მუშებმაც გახსნეს ამგვარი მუშური ღუქნები — კოოპერატივები.

რევოლუციის დასაწყისს საბჭოთა რუსეთში კოოპერაცია ნაკლებად იყო განვითარებული. სამოქალაქო ომის შემდეგ, როდესაც თავისუფალი ვაჭრობა დაიწყო,



კოოპერაციამ თანდათან იწყოზრდა. კოოპერაცია მოსახლეობას უკეთეს საქონელს აძლევდა და უფრო იაფად, ვიდრე კერძო პირი, და ამით მიიზიდა ხალხი; თანდათან იზრდებოდა კოოპერატივების და მისი წევრების რიცხვი. გაჩნდა პირველი კოოპერატივები სოფლადაც. როდესაც კოოპერატივების რიცხვმა იმატა, კერძო ვაჭარმა ვერ შესძლო კოოპერატივის ფასად საქონლის გაყიდვა, და მას მოაკლდა მყიდველები.

კოოპერაციის მნიშვნელოვანი ამოცანაა—მუშებისა და გლეხების დაკავშირება ფაბრიკა-ქარხნებში გაკეთებული სხვადასხვა საგნის (ქსოვილი, ფეხსაცმელი, შაქარი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები) სასოფლო მეურნეობის ნაწარმზე (ბური, ერბო, მატყლი და სხვ.) გადაცვლით ამ მიყიდვით. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციისათვის მთელი მშრომელი მოსახლეობისა და გლეხობის ჩაბმას კოოპერაციაში.

რა დახმარების გაწევა შეგიძლიათ კოოპერაციისათვის?

შეიძლება ბევრჯერ გაგიგონიათ, როგორ აგინებენ თქვენი

მშობლები ან მეზობლები კოოპერაციას მის გამო, რომ კოოპერატივს არა აქვს საჭირო საქონელი და კერძო ვაჭართან უხდებათ მეტის მიცემა, ეს კი იმიტომ ხდება, რომ თქვენი მშობლები და მეზობლები ნაკლებად ეხმარებიან, ან სულ არ ეხმარებიან კოოპერატივს, ბევრი არც კი არის კოოპერატივის წევრი, თითოეული პირი კი, რომელიც ეწერება კოოპერატივში, უკვე ამით ეხმარება მას, ვინაიდან საწევრო ფული შეაქვს, რაც ემატება კოოპერატივის კაპიტალს.

თქვენ ღენინელები ხართ, და ყველგან და ყველას უნდა აუხსნათ კოოპერაციის მნიშვნელობა, ჩასწვროთ კოოპერატივის წევრად რაც შეიძლება მეტი ხალხი, უპირველეს ყოვლისა კი თქვენი მშობლები და ნაცნობები.

ბევრ სკოლაში ბუფეტი კერძო პირების ხელშია. თქვენ უნდა დასვით სკოლაში სასკოლო კოოპერატივის მოწყობის საკითხი, ამ კოოპერატივის პატრონი კი თვითონ თქვენ იქნებით და გაცილებით უფრო იაფად შეიძენთ იმას, რაც გჭირდებათ.



ზღვის უცნაური თევზები.



ზევით—საში თევზი—საშინელი დიდი ზი-
რი აქვთ.

შუაში (ორი თევ-
ზი)—ვერცხლის ფერი
თევზები, რომლებსაც
დურბინდის მსგავსი თვა-
ლები აქვთ.

ქვევით—დიდთვა-
ლა თევზი.


გ ა ს ა რ თ მ ბ ი

გამოცანები.

1. ფრთოსანი ვარ, არ ვფრინავ.
2. წითელი აქვს შაქრის გული,
კაბა — მწვანე ფარჩეული.
3. ვეითელი გოგო ჩაჯდა ცინე-
ში, თმა გადაუშვა კარეთ
ქუჩებში.
4. მას ვეელა იცნობს, რა ბაღა-
სია, თვალდასუტულიც და
თვალეზღია.

ახსნა მე-ნ №-ში მოთავსებული გამოცანების:

- 1) ჩიტის ბუდე, 2) ბაღი.



როგორ უნდა გააკეთო.

შენ თვითონ შეგიძლია გაიკეთო ეზოში ან ასეთი კუთხე. აბა დახედე სურათს, რა ადვილია კარავის გაკეთება: ჯერ გასკიმიე თოკი ორ ხეს შუა, ან სარებზე, შეიძლება მსხვილი კანაფიც იხმარო, თუ მაგარია. სახლში ძველი ტომარა გექნებათ, სთხოვე დედას, გაარღვიე ორივე მხრიდან, გადაჰკიდე ბაწარზე და ბოლოები მიაბი მიწაში ჩასობილ პალოებზე. უკანიდან რამე ფიცარი, ან ფარდა ააფარე. საუცხოვო კარავი გამოვა. აგურებზე ფიცარი გადვეი—მზად არის სკამი; თუ ფიცარს ორ პატარა ძველ ყუთზე დააქედებ, კიდევ უკეთესი იქნება,

რადგანაც სკამის გადატან-გადმოტანაც შეიძლება. სკამის გაკეთება თუ გინდა, დახედე აქ დახატულ სკამს. მაგიდაც ძველი ყუთისაგან არის გაკეთებული, მხოლოდ ზემოდან ფანერი აქვს დაკრული. სილაში თამაში თუ გინდა, აქვე ახლოს კარავთან დაყარე სილა, ირგვლივ შემოფარგლე ფიცრებით, როგორც ნაჩვენებია, რომ არ დაიბნეს (სიგრძით $1\frac{1}{2}$, სიგანით 1 მეტრი). შეიძლება ყვავილნარიც გააკეთო: შემოლობე მიწის ნაკვეთი წვრილი წკნელით ან ჩხირებით. ასეთ კუთხეში, რასაკვირველია, სიამოვნებით იმუშავენ და ითამაშებ კიდევაც.

════════════ 1929 წ. ════════════

საქმანწვილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. „**ოქტომბერი**“ საშვილ-
თვეური II წ.

მოსწდილ. „**პიონერი**“ ორკვი-
რეული IV წ.

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით {

 „**ოქტომბერი**“ — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.

 ნახევარი წლით — 2 მ.

 „**პიონერი**“ — ერთი წლით — 5 მ.


 ნახევარი წლით — 3 მ.

ცალკე ნომერი {

 „**ოქტომბერი**“ — 35 კაპ.

 „**პიონერი**“ — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22, სახელგამი (შეორე
 სართული). აბაღვაზრდათა სექტორი. „**ოქტომბერლის**“ და
 „**პიონერის**“ რედაქციას.



რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია: ვ. ლუარსაბიძე, ნინო ნაკაშიძე და
 მ. ელიჯარაშვილი.